არაოფიციალური თარგმანი

შუალედური ანგარიში #1
2012 წლის 22 აგვისტო - 5 სექტემბერი
2012 წლის 10 სექტემბერი

1. მოკლე შინაარსი

- 1 აგვისტოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კონსტიტუციის შესაბამისად საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს დანიშნა. 150 ადგილიანი პარლამენტი შერეული პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით იქნება არჩეული.

- ბოლო წლის განმავლობაში ახალ საარჩევნო კოდექსში და კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ) მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რომლებიც ევროპის/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR), ევროპული კომისიის დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისიის) და ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა ჯგუფის კორუფციის წინააღმდეგ (GRECO)-ს რეკომენდაციებს მოჰყვა. ამ რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებული იქნა ხოლო ნაწილი ჯერ კიდევ გასათვალისწინებელია. გარკვეული საკანონმდებლო დებულებები იქნა მიღებული ამ კანონებთან დაკავშირებული დასკვნების გამოქვეყნების შემდეგ.

- არჩევნების ადმინისტრირება სამი დონისგან შემდგარი საარჩევნო კომისიების მიერ მოხდება. ცენტრალური საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისიები კანდიდატების რეგისტრაციას ამთავრებენ და ეს პროცესი 6 სექტემბერს სრულდება. თოთხმეტმა პოლიტიკურმა პარტიამ, ორმა საარჩევნო ბლოკმა და ამომრჩეველთა ოთხმა საინიციატივო ჯგუფმა გაიარა რეგისტრაცია და მიიღო არჩევნებში მონაწილეობის უფლება. არჩევნებისთვის მზადება სრული ძალით მიმდინარეობს და ცესკო მკაცრად იცავს ყველა იურიდიულ ვადებს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით ამომრჩეველთა წინასწარი სია ამჟამად 3,621,256 ამომრჩევლისგან შედგება.

- ამ არჩევნებში ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც საქართველოს 2003 წლის შემდეგ მართავს, სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან ერთად უპირისპირდება „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ - ეს არის ექვსი ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი კოალიცია, რომლებსაც მეტად განსხვავებული პოლიტიკური ხედვები გააჩნიათ. პარტიების და საარჩევნო

კამპანიის დაფინანსების თემა მნიშვნელოვან საკითხად იქცა მას შემდეგ რაც 2011 წლის 7 ოქტომბერს მილიარდერმა ბიძინა ივანიშვლიმა პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

- წინასაარჩევნო გარემო პოლარიზებულია. იმ დროს როდესაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა აცხადებს მზაობას ჩაატაროს არჩევნები შესაბამისი სტანდარტების სრული დაცვით, ქართულმა ოცნებამ გამოხატა ნდობის ნაკლებობა საარჩევნო პროცესის მიმართ, მათი განცხადებით ხდება ადმინისტრაციული რესურსების უკანონოდ გამოყენება და მათი მხარდამჭერების დაშინება. არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტი კარდაკარს და ამომრჩეველებთან შეხვედრებს ატარებს და ასევე იყენებს სატელევიზიო პოლიტიკურ რეკლამებს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ასევე იყენებს მრავალ სხვადასხვა ტიპის გარე რეკლამას (ბილბორდებს) მთელი საქართველოს მასშტაბით.

- ხანდახან კონკრეტული პოლიტიკური პლატფორმის წარმოჩენის მაგივრად წინასაარჩევნო კამპანია ერთის მხრივ თანამდებობის და მეორეს მხრივ კერძო ფინანსური რესურსების გამოყენებაზე ფოკუსირდება. ზოგიერთი ადგილობრივი თანამოსაუბრე პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მის აქტიურად განხორციელებას ქართული ოცნების პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის მცდელობად აფასებს, ხოლო ზოგიერთი სხვა თანამოსაუბრე კი აღნიშნავს რომ ამ ქმედებების მიზანია „დიდი ფულის“ მიერ პოლიტიკურ არჩევანზე ზეგავლენის მოხდენის აღკვეთა.

- ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მისია წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას 30 აგვისტოს შემდეგ აკვირდება, მონიტორინგი ხორციელდება რვა ტელეკომპანიის პრაიმტაიმის საინფორმაციო გადაცემებზე და ორ გაზეთზე. ე.წ. „Must Carry, Must Offer”-ის საკანონმდებლო დებულება საკაბელო ტელევიზიებს წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში მათ სატელევიზიო პაკეტებში ყველა ტელევიზიის, მათ შორის ოპოზიციური ტელეარხების, ჩართვას ავალდებულებს.

- ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მისიამ მუშაობას 22 აგვისტოს შეუდგა, მისია თბილისში მომუშავე 16 ძირითადი ექსპერტისა და საქართველოს მასშტაბით მომუშავე 28 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება.

II. შესავალი

1 აგვისტოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კონსტიტუციის შესაბამისად საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს დანიშნა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ადრეულ ეტაპზე გამოგზავნილი მოწვევის შემდეგ და 11-დან 15 ივნისამდე პერიოდში ჩატარებული „საჭიროებების შეფასების მისიის“ რეკომენდაციების საფუძველზე ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა საქართველოში არჩევნებზე დაკვირვების მისია 22 აგვისტოს განათავსა. მისია, რომელსაც ნიკოლაი ვულჩანოვი ხელმძღვანელობს, თბილისში მომუშავე 16 ძირითადი ექსპერტის და ქვეყნის მასშტაბით მომუშავე 28 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება. არჩევნებზე დაკვირვების მისიის წევრები ეუთოს 26 წევრი ქვეყნიდან არიან შერჩეული. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა ეუთოს წევრ ქვეყნებს ასევე 350 მოკლევადიანი დამკვირვებლის გამოგზავნა სთხოვა, რომლებიც უშუალოდ არჩევნების დღეს დააკვირდებიან. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უზენაესი საბჭოს არჩევნები საპარლამენტო არჩევნებთან ერთად გაიმართება; ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი აჭარის უზენაესი საბჭოს ამ არჩევნებს იმდენად დააკვირდება რამდენადაც მათ ზეგავლენა ექნებათ საპარლამენტო არჩევნებზე.

III. წინა ისტორია

ამჟამად მოქმედ პარლამენტში მმართველ უმრავლესობას ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 150 მანდატიდან 119 მანდატი ეკუთვნის. გაერთიანებულ ოპოზიციას აქვს 17 მანდატი, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას და ლეიბორისტულ პარტიას 6-6 მანდატი ხოლო ახალ მემარჯვენეებს 2 მანდატი. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ (რომლებიც ოპოზიციის განცხადებით მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარდა) გამართული საპროტესტო აქციების შედეგად ოპოზიციის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს პარლამენტში შესვლაზე; რესპუბლიკური პარტიიდან ორმა გამარჯვებულმა მაჟორიტარმა დეპუტატმა უარი განაცხადა თავიანთ მანდატზე და 2008 წლის ნოემბერში ამ ოლქებში რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა. ამ არჩევნების შედეგად აღნიშნული მანდატები ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

2010 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად პრეზიდენტის გარკვეული უფლებამოსილებები პრემიერ მინისტრს და მთავრობას გადაეცემა, რის შედეგადაც საქართველოს საპრეზიდენტო სისტემა ნახევრადსაპარლამენტო სისტემად გადაიქცევა. აღნიშნული ცვლილებები ძალაში მხოლოდ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში გადავა.

IV. საკანონმდებლო სტრუქტურა და საარჩევნო სისტემა

საპარლამენტო არჩევნებს შემდეგი ძირითადი კანონები არეგულირებს: კონსტიტუცია, საარჩევნო კოდექსი, კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები და საარჩევნო ადმინისტრაციის რეგულაციები. ახალი საარჩევნო კოდექსის მიღებასთან ერთად მოხდა კონსტიტუციის ცვლილებაც, რომლითაც საარჩევნო სისტემა იქნა შეცვლილი. კონსტიტუციაში და საარჩევნო კოდექსში შემდგომი ცვლილებები მაისში და ივნისში განხორციელდა, ამ ცვლილებებით სხვა საკითხებთან ერთად საარჩევნო ხმასთან დაკავშირებული საკითხები იქნა შეცვლილი. საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები 2012 წლის 29 ივნისს შევიდა.

150 ადგილიანი პარლამენტი ოთხი წლის ვადით შერეული სისტემით აირჩევა: 73 პარლამენტის წევრი მაჟორიტარული სისტემით ირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში ხოლო 77 წევრი პარტიული სიით პროპორციული სისტემით ირჩევა მთელი ქვეყნის მასშტაბით[1]. დამოუკიდებელ კანდიდატებს პირველად მიეცათ საშუალება კენჭი იყარონ მაჟორიტარულ ოლქებში. მაჟორიტარმა კანდიდატმა შესაბამის ოლქში ხმების მინიმუმ 30 პროცენტი მაინც უნდა მიიღოს იმისთვის რომ იგი პარლამენტში იქნას არჩეული. თუ ამ რაოდენობის ხმას ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს მაშინ 14 დღის შემდეგ განმეორებითი არჩევნები გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ის ორი კანდიდატი, რომლებმაც ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა დააგროვეს. ყველა კანდიდატმა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება ან მაჟორიტარ კანდიდატად დარეგისტრირებისას ან პარლამენტში პარტიული სიით არჩევის შემდეგ.

პოლიტიკურ პარტიებს და ბლოკებს არჩევნებში მონაწილეობა როგორც მაჟორიტარული სისტემით (ერთი კანდიდატი ერთი საარჩევნო ოლქში) ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით (100-დან 200-მდე კანდიდატებისგან შემდგარი პარტიული სია) შეუძლიათ. პარტიის ან ბლოკის საარჩევნო სიაში შესული კანდიდატები საპარლამენტო ადგილების გადანაწილებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებენ მონაწილეობას თუ კონკრეტული პარტია თუ ბლოკი 5 პროცენტიან ბარიერს გადახალავს (აღნიშნული პროცენტი ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობიდან გამოითვლება). არჩევნებში ქალების მონაწილეობა ხელშეწყობილია ნებაყოფლობითი პარტიული კვოტების მეშვეობით. თუ პარტიულ სიაში ყოველ 10 კანდიდატს შორის 20 პროცენტი განსხვავებული სქესის კანდიდატებია შეყვანილი მაშინ აღნიშნული პარტია 10 პროცენტით მეტ სახელმწიფო დაფინანსებას იღებს.

[1] საზღვრები შეესაბამება არსებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებს

საარჩევნო სისტემაში შეტანილი ცვლილებებით პროპორციული კომპონენტით პარლამენტში ადგილების გადანაწილების სისტემაშიც შევიდა ცვლილებები. ნებისმიერი პარტია ან ბლოკი რომელიც 5 პროცენტიან ბარიერს გადალახავს 6 მანდატს იღებს, რაც საკმარისია საპარლამენტო ფრაქციის შესაქმნელად მიუხედავად იმისა რომ ამ შემთხვევაში აღნიშნულ პარტიას თუ ბლოკს შეიძლება არც ჰქონდეს 6 კანდიდატის გასაყვანად საჭირო რაოდენობის ხმა მიღებული[2]. აღნიშნული ცვლილება, რომლის შედეგადაც მანდატები შეიძლება გამოექვითოთ სხვა გამარჯვებულ საარჩევნო სუბიექტებს, არ ყოფილა განხილული ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის და ვენეციის კომისიის საერთო დასკვნაში[3]. 2012 წლის მაისში კანონმდებლობაში შეტანილი სხვა ცვლილებები, რომლების ასევე არ ყოფილა განხილული საერთო დასკვნაში, გულისხმობენ კანდიდატების მინიმალური ასაკის დაწევას 25-დან 21 წლამდე და ბატონ ივანიშვილზე მორგებულ ცვლილებებს, რომლებიც მას საშუალებას აძლევს არჩევნებში ხმა მისცეს და იყოს არჩეული მას შემდეგ რაც მან დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს რომ იმ დროს როცა საარჩევნო კოდექსი ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის და ვენეციის კომისიის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციების გარკვეულ რაოდენობას ითვალისწინებს, არსებობს რეკომენდაციები, რომლებიც ჯერ კიდევ გასათვალისწინებელია. განსაკუთრებული წუხილის საგანია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს შორის არსებული დიდი განსხვავებები (მოსახლეობის და რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის მიხედვით) რაც ძირს უთხრის არჩევანის თანასწორუფლებიანობის პრინციპს[4]. 2011 წელს საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა რომ ის აპირებდა საარჩევნო ოლქების საზღვრების გადახედვას, მათ შორის ყველაზე დიდი საარჩევნო ოლქების ორად გაყოფას. თუმცა, ეს ჯერ კიდევ გასაკეთებელია.

V. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირებას ახდენს სამ დონიანი საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, 73 საოლქო საარჩევნო კომისიისგან და 3,690 საუბნო საარჩევნო კომისიისგან. ყველა დონეზე საარჩევნო

---

[2] იხილეთ კონსტიტუციის 50.2-ე მუხლი და საარჩევნო კოდექსის 125.6-7-ე მუხლი

[3] ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა და ვენეციის კომისიამ 2011 წლის 19 დეკემბერს გამოაქვეყნეს საერთო დასკვნა საარჩევნო კოდექსის პროექტზე, აღნიშნული დასკვნის ნახვა შეიძლება აქ: www.osce.org/odihr/86401

[4] იხილეთ 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.3-ე პარაგრაფი, რომლითაც ეუთოს წევრი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას მოახდინონ „საყოველთაო და თანასწორუფლებიანი საარჩევნო უფლებების უზრუნველყოფა ზრდასრული მოქალაქეებისთვის“

კომისიები 13 წევრისგან შედგება, აქედან 7 წევრი სახელდება კვალიფიცირებული პოლიტიკური პარტიების მიერ (სახელმწიფო დაფინანსების მიღებისთვის კვალიფიცირებული პოლიტიკური სუბიექტები)[5]. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დანარჩენი ხუთი წევრი ინიშნება პარლამენტის მიერ, ხოლო ცესკოს თავმჯდომარის შესარჩევად დამატებითი პროცედურები მოქმედებს. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დანარჩენი ექვსი წევრი ინიშნება უფრო მაღალი საარჩევნო კომისიების მიერ[6]. კომისიების ყველა წევრი უკვე არჩეულია და საუბნო საარჩევნო კომისიებმა უკვე ჩაატარეს პირველი სხდომები. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრი ქალია, თოთხმეტი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ქალია, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების 56%-ს ქალები წარმოადგენენ. ციხეებში, სამედიცინო დაწესებულებებში და სამხედრო ბაზებზე არჩევნების დღემდე სპეციალური საარჩევნო უბნები მოეწყობა. ამ მომენტისთვის საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში 42 საარჩევნო უბანი იქნა მოწყობილი სადაც უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ საშუალება მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა.

ახალი საარჩევნო კოდექსის ფარგლებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის კომპეტენცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამომრჩეველთა სიების სიზუსტეზე, მედია და საარჩევნო დაფინანსების რეგულაციების მონიტორინგზე და სანქციების დაწესებაზე სხვა ინსტიტუტები არიან პასუხისმგებლები. აქედან გამომდინარე ცენტრალური საარჩევნო კომისია ფოკუსირებას მოახდენს უშუალოდ საარჩევნო ადმინისტრირებაზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ტრეინინგის ცენტრი აგრძელებს ტრეინინგებს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, მათ შორის სპეციალური ტრეინინგები უტარდებათ მმართველ პოზიციებზე მომუშავე წევრებს. ტრეინინგის ცენტრმა ასევე ჩაატარა ტრეინინგები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, ადგილობრივი დამკვირვებლებისთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის და მედიის წარმომადგენლებისთვის. გარდა ამისა ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადა სახელმძღვანელოები და ჩაატარა ტრეინინგები მოსამართლეებისთვის, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების და პარტიების იურისტებისთვის. აღნიშნული ნაბიჯები და საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომლებშიც პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ, ასახავენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სურვილს გაზარდოს

---

5 იხილეთ პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 30.2-ე მუხლი.

6 ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები და საოლქო საარჩევნო კომისიების ხუთი წევრი, რომელთაც ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს, ხუთი წლის ვადით ინიშნებიან. საოლქო საარჩევნო კომისიის დანარჩენი წევრები და საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი მხოლოდ არჩევნების პერიოდისთვის ინიშნებიან.

ჩართულობა, გამჭირვალეობა და დაინტერესებული მხარეების ნდობა არჩევნებისადმი.

VI. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება ენიჭება ყველა მოქალაქეს რომელთა ასაკი 18 ან მეტი წელს შეადგენს[7]. იმ მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლოს მიერ შეურაცხადად ჩაითვლებიან ან რომლებსაც ხუთ წელზე მეტი ხნით აქვთ პატიმრობა მისჯილი, არ გააჩნიათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. პატიმრებისთვის დაწესებული საარჩევნო შეზღუდვების შემსუბუქება საკონსტიტუციო ცვლილებების მეშვეობით მოხდა, რომლებიც ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს ეფუძნებოდა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია პასუხისმგებელია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან მიღებული მონაცემების საფუძველზე მოახდინოს ამომრჩეველთა სიების ელექტრონულად დამუშავება, ორგანიზება და გამოქვეყნება. თუმცა ამომრჩეველთა სიების სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ამჟამად ეკისრება ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას. 22 წევრისგან შემდგარი კომისიის თავმჯდომარე ოპოზიციური პარტიის „ახალი მემარჯვენეების“ წევრია, კომისიის 7 წევრი მთავრობის, 7 პოლიტიკური პარტიების და 7 სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებია. კომისიამ ივნისში და ივლისში კარდაკარი ჩაატარა, რომლის მიზანი ამომრჩეველთა სიების გადამოწმება და განახლება იყო. აღნიშნული სიები ამჟამად გამოქვეყნებულია და მასში ცვლილებების შეტანა, მათ შორის სასამართლო სარჩელის მეშვეობით, შესაძლებელია 20 სექტემბრამდე. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით 26 აგვისტოსთვის ამომრჩეველთა წინასწარ სიებში 3,621,256 ამომრჩეველია რეგისტრირებული. ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მიერ 1 აგვისტოს გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით ამომრჩეველთა სიებში 207,055 იძულებით გადაადგილებული პირია შეყვანილი მათი მიმდინარე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დევნილებს საშუალება ექნებათ ხმა მისცენ არჩევნებში როგორც პროპორციული ისე მაჟორიტარული წესით ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებზე დევნილის მოწმობის წარმოდგენის შემდეგ.

[7] კონსტიტუციის 104(4)-ე მუხლი (გარდამავალი დებულებები) აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებს აძლევს (2014 წლის 1 იანვრამდე) საქართველოში დაბადებულ ევროკავშირის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოში ბოლო ხუთი წლის მანძილზე ცხოვრობდნენ.

VII. კანდიდატების რეგისტრაცია

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პოლიტიკური პარტიები ჯერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა დარეგისტრირდნენ. პარტიამ, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენლები პარლამენტში და რომელიც არ არის კვალიფიცირებული სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად, 25,000 ხელმოწერა უნდა შეაგროვოს, იმ დროს როდესაც კვალიფიცირებულ პარტიებს მხოლოდ 1,000 ხელმოწერის შეგროვება ევალებათ. ცესკოს რეგისტრაციისთვის სულ 41 პარტიამ მიმართა, აქედან ცხრამეტს უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე[8]. მთლიანობაში არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს 14 პარტია[9] და ორი საარჩევნო ბლოკი[10], რომლებშიც სულ რვა პოლიტიკური პარტია შედის. 1 სექტემბრამდე (საბოლოო ვადა) ყველა საარჩევნო სუბიექტმა წარმოადგინა საკუთარი პარტიული სიები პროპორციული წესით არჩევნებისთვის.

საინიციატივო ჯგუფს, რომელიც მინიმუმ ხუთი ამომრჩევლისგან შედგება, შეუძლია დაასახელოს კანდიდატი არჩევნებზე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში. რეგისტრაციისთვის მათ უნდა გადაიხადონ საარჩევნო დეპოზიტი 5,000 ლარის ოდენობით და წარმოადგინონ მხარდამჭერი ამომრჩევლების ხელმოწერები, რომელთა რაოდენობა შესაბამის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1 პროცენტს უნდა უდრიდეს[11]. მოქმედ დეპუტატებს არ ევალებათ ხელმოწერების შეგროვება. ზემოდ ჩამოთვლილი საარჩევნო სუბიექტების გარდა ოთხმა საინიციატივო ჯგუფებმა მოახდინა საკუთარი კანდიდატების რეგისტრაცია საოლქო საარჩევნო კომისიებში.

---

8 შვიდმა პარტიამ არასრულყოფილი დოკუმენტაცია წარმოადგინა, ექვსმა პარტიამ ვერ წარმოადგინა ხელმოწერები, ხოლო კიდევ ექვსმა პარტიამ უკან გაიწვია რეგისტრაციაზე განაცხადი. რეგისტრაციაზე უარი ორმა პარტიამ გაასაჩივრა. ორივე შემთხვევაში სასამართლოებმა (თბილისის საქალაქო სასამართლომ და თბილისის სააპელაციო სასამართლომ) მხარი დაუჭირეს ცესკოს გადაწყვეტილებას.

9 პარტიები და მათი საარჩევნო ნომრებია: კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო (1), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (4), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (5), სამართლიანი საქართველოსთვის (9), სახალხო მოძრაობა (17), თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა (19), ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი (23), ახალი მემარჯვენეები (24), სახალხო პარტია (26), მერაბ კოსტავას საზოგადოება (3)), მომავალი საქართველო (35), საქართველოს მშრომელთა საბჭო (36), შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია (38), საქართველოს სპორტსმენთა კავშირი (40).

10 „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ (10) შედგება ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის და საქართველოს ევროპელი დემოკრატებისგან; „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ (41) – „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, საქართველოს კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო რესპუბლიკური პარტია, ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები და ეროვნული ფორუმი.

11 დაახლოებით 2,500 ევროს ექვივალენტი (2 ლარი დაახლოებით 1 ევროს უდრის).

VIII. წინასაარჩევნო გარემო

წინასაარჩევნო გარემო პოლარიზებულია. მმართველ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას სხვა პარტიებთან ერთად ქართული ოცნება უპირისპირდება - ეს არის ექვსი ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი კოალიცია, რომლებსაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გააჩნიათ. პარტიების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების თემა მნიშვნელოვან საკითხად იქცა მას შემდეგ რაც 2011 წლის 7 ოქტომბერს მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში „ქართული ოცნების“ ლიდერის რანგში მოსვლასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. ხანდახან კონკრეტული პოლიტიკური პლატფორმის წარმოჩენის მაგივრად წინასაარჩევნო კამპანია ერთის მხრივ მოქმედი ხელისუფლების და მეორეს მხრივ კერძო ფინანსური რესურსების გამოყენებაზე ფოკუსირდება.

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდი 1 აგვისტოს დაიწყო. არჩევნების დღეს საარჩევნო აგიტაციის საერთო აკრძალვა არ მოქმედებს; თუმცა არჩევნების დღეს ტელევიზიით და რადიოთი და საარჩევნო უბნებზე აგიტაცია აკრძალულია. წინასაარჩევნო გარემო ხასიათდება ხშირ საჯარო ბრალდებებით, რომლებსაც პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ერთმანეთს უყენებენ. პარტიები და ბლოკები ძირითადად საუბრობენ განათლებაზე, ჯანდაცვაზე, დასაქმებაზე, რეგიონულ განვითარებაზე, სოფლის მეურნეობაზე, უსაფრთხოებაზე, სოციალურ დახმარებებზე და ივლისის შემდეგ სტიქიით მიყენებული ზარალის აღმოფხვრაზე და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ერთ-ერთ ყველაზე თვალშისაცემ წინასაარჩევნო კამპანიას ატარებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით შეხვედრების გამართვით და ბილბორდების გამოყენებით, ნაციონალური მოძრაობა ასევე აქტიურად იყენებს სატელევიზიო რეკლამას. ამავე დროს სხვა პარტიები, კონკრეტულად ახალი მემარჯვენეები, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, თავისუფალი საქართველო და ლეიბორისტული პარტია ამჟამად ძირითადად იმ რეგიონებში ატარებენ შეხვედრებს სადაც მათ ძლიერი კანდიდატები ჰყავთ. ქართული ოცნება კოალიციაში შემავალ ექვსივე პარტიასთან ერთად მთელი ქვეყნის მასშტაბით ატარებს წინასაარჩევნო კამპანიას. პარტიების უმრავლესობა თავიანთ ელექტორატთან კომუნიკაციის დასამყარებლად ინტერაქტიულ ვებსაიტებს და სოციალურ მედიას იყენებს.

წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა ეკრძალებათ ოფიციალური პირების გარკვეულ კატეგორიას, რელიგიური ჯგუფების წევრებს, საარჩევნო კომისიებს, ასევე საარჩევნო კამპანიის წარმოება იზღუდება გარკვეულ შენობებში და სამხედრო ნაწილებში. არსებობს ადმინისტრაციული რესურსების შეზღუდულად გამოყენების საშუალება, მაგალითად სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი შენობების გამოყენების უფლება, თუ ყველა საარჩევნო სუბიექტს აქვს უფლება

თანაბრად ისარგებლონ ამ რესურსებით. პოლიტიკური თანამდებობის პირებს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას სამსახურებრივი მანქანების გამოყენების უფლება აქვთ. ამგვარი რესურსების სია ადრე უფრო გრძელი იყო, მაგრამ იგი ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე შემცირდა[12]. სახელმწიფო ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ არჩევნების პერიოდში დამატებითი სოციალური პროგრამების დაწყებისგან. საჯარო მოხელეებს მათი ოფიციალური მოვალეობების შესრულებისას ეკრძალებათ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული მივლინებების დროს.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების ან ოფიციალური უფლებამოსილების გამოყენება სანქციებს ექვემდებარება. უწყებათშორისი კომისია დროებითი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების მიხედვით იქნა ჩამოყალიბებული არჩევნების წინ, რათა მან ამგვარი დარღვევების შესახებ გაჟღერებულ ბრალდებებზე პროაქტიული რეაგირება მოახდინოს. უწყებათშორისი კომისია ატარებს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და მედიასთან, კომისიაში ასევე მოქმედებს ცხელი ხაზი. უწყებათშორისი კომისიის ჩამოყალიბების შემდეგ (18 მაისი) კომისიამ გასცა რვა რეკომენდაცია, რომელთა მიზანია დარღვევების აღმოფხვრა. უწყებათშორისმა კომისიამ ასევე გადაუგზავნა საქმეების გარკვეული რაოდენობა ცესკოს და პროკურატურას შესაბამისი რეაგირებისთვის. 16 აგვისტოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, უწყებათშორისმა კომისიამ და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა შვიდმა ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ამ არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას ეხება, აღნიშნულ მემორნდუმში ეუთოს მიერ 1990 წელს მიღებული კოპენჰაგენის დოკუმენტიც არის ნახსენები.

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მისიასთან შეხვედრებზე სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა გამოხატეს წუხილი მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენების, საჯარო მოხელეების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების, დაწესებული ჯარიმების (რომელთა ოდენობაც მათი აზრით გადაჭარბებულია) და საკუთრების დაყადაღების თაობაზე. მათი განცხადებით ხდება საჯარო სამსახურებში დასაქმებული ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერების დაშინება, სიძულვილის ენის გამოყენება ამომრჩეველთა დაშინება და ხმების მოსყიდვა.

---

[12] საერთო დასკვნაში გარკვეული წუხილი იქნა გამოთქმული სახლემწიფოს მფლობელობაში მყოფი შენობების თანაბრად გამოყენებასთან დაკავშირებით და ასევე საარჩევნო კოდექსის 49.1-ე მუხლში მოცემული ტერმინის „არჩეული საჯარო მოხელე“-ს განმარტების არ წარმოდგენასთან დაკავშირებით.

IX. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

ამ არჩევნებზე პარტიების და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება მნიშვნელოვან და წინააღმდეგობრივ საკითხად იქცა. ამ კომპონენტის მარეგულირებელი კანონმდებლობა 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვნად იქნა შეცვლილი[13]. მართალია აღნიშნული ცვლილებები როგორც ჩანს არის მცდელობა შესრულდეს GRECO-ს მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციები, მათ შორის „დიდი ფულის" მიერ პოლიტიკურ არჩევანზე ზემოქმედების აღკვეთასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, მაგრამ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მისიასთან შეხვედრებზე თანამოსაუბრეები აცხადებენ რომ ზოგიერთი ეს ცვლილება ქართული ოცნების საქმიანობის შეზღუდვისთვის იქნა შემოღებული მისი ლიდერის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე[14].

კანონმდებლობა ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების და მათი კამპანიების როგორც სახელმწიფო ისე კერძო დაფინანსებას. ფულადი და არაფულადი შემოწირულობების, ისევე როგორც საწევროების გადახდის უფლება, მხოლოდ ფიზიკურ პირებს (და არა იურიდიულ პირებს) გააჩნიათ. ფულადი შემოწირულობის გაკეთება მხოლოდ საბანკო გადარიცხვით შეიძლება, თანხა პარტიის კუთვნილ ერთ საბანკო ანგარიშზე უნდა იქნას გადარიცხული (ბლოკის შემთხვევაში სიაში შემავალი პირველი პარტიის ანგარიშზე); პოლიტიკური პარტიების ნაღდი ფულით დაფინანსება აღარ არის ნებადართული.

პარტიების და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების კანონთან შესაბამისობის მაკონტროლებელი ორგანოა პარტიათა დაფინანსების მონიტორინგის სამსახური, რომელიც 2012 წლის იანვარში იქნა დაფუძნებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფარგლებში, რომელსაც მანამდე კონტროლის პალატა ეწოდებოდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საკუთარი შიდა განაწესი მის მიმართ პროცედურების დაუცველობასთან დაკავშირებით გამოთქმული საჯარო

---

13 საარჩევნო კოდექსის 52-57-ე მუხლები; კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, 25-34(2)-ე მუხლები.

14 იხილეთ ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა ჯგუფის კორუფციის წინააღმდეგ (GRECO)-ს მიერ საქართველოში პარტიების დაფინანსების გამჭირვალეობაზე 2011 წლის 27 მაისს გამოქვეყნებული ანგარიში, http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/evaluations/round3/GrecoEval3(2010)12_Georgia_Two_EN.pdf.
ჯერ-ჯერობით ახალი ცვლილებები არ განხილულა არც ვენეციის კომისიის და არც GRECO-ს მიერ.

კრიტიკის შემდეგ მხოლოდ 11 ივლისს დაამტკიცა[15]. ყველა საარჩევნო სუბიექტი მათი რეგისტრაციის დღიდან ვალდებულია სამ კვირაში ერთხელ წარმოადგინოს ფინანსური ანგარიში და მიღებული შემოწირულობების შესახებ ინფორმაცია ამ შემოწირულობის მიღებიდან ხუთ დღეში. აქამდე ყველა საარჩევნო სუბიექტი ასრულებდა ამ მოთხოვნას. ელექტორნული ანგარიშები სამოქალაქო რეესტრის, საშემოსავლო სამსახურის და დევნილების და სოციალური დახმარების სამსახურის მონაცემთა ბაზების მიხედვით მოწმდება. როდესაც დარღვევაზე ეჭვი ჩნდება სისტემა „მონიშნავს“ კონკრეტულ შენატანს და იწყება გამოძიება[16].

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით შემოწირულობების ლეგალურობის დადგენის მიზნით მან შემომწირველებისგან/დონორებისგან მათ მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის შეწირული (102 შემთხვევა) და მიღებული (61 შემთხვევა) თანხების და ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოითხოვა. ქართულმა ოცნებამ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მისიას განუცხადა რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაკითხა ხოლო სასამართლომ დააჯარიმა მათი 68 შემომტანი მათი „საქონლის/შემოსავლის წარმომავლობის ვერ დამტკიცების გამო“, მათ შორის იყვნენ ისეთი შემომწირველები რომლებმაც მხოლოდ 1,000-2,000 ლარის ოდენობის შენატანები გააკეთეს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაცხადა რომ მან 90 არალეგალური შემოწირულობის საქმეზე ხუთმაგი ჯარიმა ხოლო 10 შემთხვევაში ათმაგი ოდენობის ჯარიმა დააკისრა შემომწირველებს. ოთხ შემთხვევაში ის შემოწირულობები რომლებიც უკანონოდ იქნა ჩათვლილი სახელმწიფო ბიუჯეტში იქნა გადარიცხული. დანარჩენ 66 შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ შემომწირველთა ქონებას, რომლებმაც საარჩევნო სუბიექტს[17] უკანონოდ შესწირეს თანხები/ქონება, ყადაღა დაედო. ქართული ოცნება ამტკიცებს, რომ ზოგიერთი მათი შემომწირველის ქონება საეჭვო იურიდიულ საფუძველზე და შესაბამისი პროცედურების დაცვის გარეშე იქნა აუქციონზე გაყიდული.

მაგალითად ბატონი ივანიშვილი სცნეს დამნაშავედ ქართული ოცნებისთვის უკანონო შემოწირულობების გაკეთებაში როგორც პირადად ისე იურიდიული პირების მეშვეობით, რომლებიც მასთან ასოცირებულად ითვლებოდნენ, ამ უკანონო შემოწირულობების ოდენობა 19,186,275 ლარით განისაზღვრა[18].

---

15 „საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისადმი“, 2011 წლის მაისი, http://www.ombudsman.ge/files/news/doc/en/shqockghplifksyrkwel.pdf.

16 მაგალითად როდესაც შემომტანი/დონორი სოციალურ დახმარებას იღებს.

17 „ყადაღა“ შესაბამის კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინია, რომელიც გულისხმობს მოძრავი და უძრავი ქონების დაყადაღებას მისი შემდგომში აუქციონზე გატანით ან არ გატანით.

18 გამოქვეყნებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებსაიტზე 11 აგვისტოს, იხ.: http://sao.ge/res/pdf/76/document.pdf.

30 აგვისტოს გამართული პრეს-კონფერენციის დროს ბატონმა ივანიშვილმა განაცხადა რომ სასამართლოს მიერ მასზე და ქართული ოცნების სხვა წევრებზე დაკისრებული ჯარიმების საერთო ოდენობა 130 მილიონ ლარს აჭარბებდა და რომ მისი კამპანიის ხარჯები 52 მილიონ ლარამდე შეადგენდა, რაც უკვე აჭარბებს წელიწადში დადგენილ მაქსიმალურ თანხას[19]. ამის საფუძველზე ქართულმა ოცნებამ გამოთქვა ეჭვი რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შესაძლოა მიმართოს სასამართლოს ქართული ოცნების მიერ არჩევნებში მიღებული შედეგების გაუქმების თხოვნით[20]. 4 სექტემბერს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის მიზანია წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების სერიოზული დარღვევისთვის პარტიისთვის მიცემული ხმების ჩამორთმევის შესაძლებლობის გაუქმება. პრესის ინფორმაციით აღნიშნული ინიციატივა პარლამენტის მიერ 11-დან 14 ოქტომბრამდე იქნება განხილული.

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მისიასთან შეხვედრებზე თანამოსაუბრეების გარკვეული რაოდენობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შესაბამისი პროცედურების დაუცველობის და კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის დაჯარიმებისას შერჩევითი დამოკიდებულების გამოყენების საფუძველზე მიკერძოებულობაში სდებს ბრალს; გარდა ამისა ისინი აუდიტის სამსახურს მიკერძოებულობაში ადანაშაულებენ მათი აზრით გადაჭარბებული ჯარიმების დაკისრების გამოც[21]. ამ წუხილების გარკვეული ნაწილი ასევე იქნა გამეორებული საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალი რანგის დელეგაციების მიერ[22].

---

19 მართალია ბატონი ივანიშვილი თავიდან აცხადებდა რომ ის არ გადაიხდიდა მასზე დაკისრებულ ჯარიმებს, მაგრამ საბოლოოდ მან მაინც გადაიხადა ეს თანხები.

20 ქართული ოცნების განცხადებით 2011 წლის ნოემბრის და დეკემბრის დანახარჯები უკანა რიცხვით შეტანილი იქნა მთელი წინასაარჩევნო კამპანიის დანახარჯებში მას შემდეგ რაც 2011 წლის დეკემბერში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით 2012 წლის ფინანსური წლის დასაწყისად 1 ნოემბერი იქნა გამოცხადებული. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მისიას განუცხადა რომ წელიწადში საარჩევნო მიზნებისთვის დახარჯული თანხის გამოთვლას ის 2012 წლის 1 იანვრიდან დაიწყებდა, ანუ იმ თარიღიდან როდესაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მონიტორინგის განხორციელება დაიწყო.

21 იხილეთ ასევე: http://www.ombudsman.ge/files/news/doc/en/shqockghplifksyrkwel.pdf.

22 იხილეთ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განცხადება: http://www.civil.ge/eng/article.php?id=25129 ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის განცხადება: http://www.oscepa.or/news-a-media/press-releases/1055-georgia-previsit-end, და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის/ვიცე-პრეზიდენტის ქეთრინ ეშტონის და კომისრის შტეფან ფულეს ერთობლივი განცხადება: http://europa.eu/rapid/pressReleasesAuction.do?reference=MEMO/12/640&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en.

X. მედია

მედია გარემო მრავალფეროვნებით ხასიათდება თუმცა მედია საშუალებები პოლიტიკური ნიშნით რჩებიან დაყოფილი და მხოლოდ რამოდენიმე საშუალება ახერხებს უფრო დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის წარმოებას. მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და ორი კერძო ტელეარხი „რუსთავი 2“ და „იმედი“ მაუწყებლობენ მთელი ქვეყნის მასშტაბით. რუსთავი 2 და იმედი ძირითადად მთავრობის მომხრე ტელეკომპანიებად აღიქმებიან. კერძო ტელეარხების „კავკასიის“, „მაესტროს“ და ეხლახან აღდგენილი „9-ე არხის“ მაუწყებლობა ძირითადად ოპოზიციის მხარდამჭერად აღიქმება, ამ არხების მაუწყებლობა ძირითადად თბილისით შემოიფარგლება, ისინი ასევე სატელიტურ მაუწყებლობას აწარმოებენ. საარჩევნო კოდექსში ცოტა ხნის წინ შეტანილი ცვლილებებით ამოქმედდა ე.წ. “Must Carry, Must Offer”-ის პრინციპი, რომელიც საკაბელო ტელევიზიებს საკუთარი გავრცელების არეალში მოსახლეობის 20%-ზე მეტის დამფარავი და სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ყველა ნაციონალური მედია საშუალების საკუთარ სამაუწყებლო პაკეტებში ჩასმას ავალდებულებს. ამ პრინციპით ტელევიზიები ასევე ვალდებულნი არიან მიაწოდონ საკაბელოებს თავიანთი სიგნალი. აღნიშნული დებულება მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში მოქმედებს და იგი დაახლოებით 194,000 ოჯახს მოიცავს, რომლებსაც წვდომა აქვთ საკაბელო ტელევიზიებზე.

უფასო საეთერო დროის გამოყოფასთან დაკავშირებული წესები ერთმანეთისგან ანსხვავებს „კვალიფიცირებულ“ და სხვა საარჩევნო სუბიექტებს[23]. „კვალიფიცირებულ“ საარჩევნო სუბიექტებს აქვთ უფლება მიიღონ 90 წამი უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის მაუწყებლობის ყოველი სამი საათისთვის კერძო ტელეკომპანიებში, მათ ასევე აქვთ უფლება მიიღონ 60 წამი უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის საზოგადოებრივ მაუწყებელზე და სათემო მაუწყებლებში (ამ არხების მაუწყებლობის ერთი საათისთვის)[24]. არაკვალიფიცირებულ საარჩევნო სუბიექტებს უფასო სარეკლამო დროის მიღების უფლება მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელზე აქვთ. ჯერ-ჯერობით შესაბამისი თხოვნით საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის არცერთ მათგანს არ მიუმართავს. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი მინიმუმ ორი პოლიტიკური

---

23 იხილეთ საარჩევნო კოდექსის 51.4-ე მუხლი. სხვა საარჩევნო სუბიექტებმა ასევე შეიძლება მიიღონ „კვალიფიცირებულის“ სტატუსი მედიასთან ურთიერთობისას თუ მათ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში შესაბამისი რეიტინგები ექნებათ. თვითონ მედია საშუალებებმა უნდა გადაწყვიტონ მიანიჭონ თუ არა ამ სუბიექტებს აღნიშნული სტატუსი.

24 ლეიბორისტული პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ისევე როგორც ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ ცესკოს მიერ „კვალიფიცირებულ“ სუბიექტებად არიან აღიარებული.

დებატების გამართვას აპირებს, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ოთხი „კვალიფიცირებული“ სუბიექტის წარმომადგენლები.
30 აგვისტოს ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა დაიწყო პრაიმტაიმში საარჩევნო თემატიკის გაშუქების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონიტორინგი, მონიტორინგი მოიცავს რვა ტელეკომპანიას და ორ გაზეთს[25].

XI. საჩივრები

საარჩევნო კოდექსი ადგენს საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ახლებურ და უფრო სწრაფ პროცედურებს[26]. საჩივრები უნდა იქნას წარდგენილი და გადაწყვეტილებები მიღებული ერთიდან სამ კალენდარულ დღეში. საარჩევნო კომისიებს შეუძლიათ წარუდგინონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები საქალაქო ან საოლქო სასამართლოს და მოითხოვონ ადმინისტრაციული სანქციების გატარება. დარღვევის ტიპის მიხედვით სასამართლომ გადაწყვეტილება სამიდან თხუთმეტი დღის ვადაში უნდა მიიღოს. ყველა შემთხვევაში ორი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო იქნება. საარჩევნო კომისიებს ასევე შეუძლიათ კონკრეტულ საქმეებზე სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა მოითხოვონ. ამ მომენტისთვის ცესკოს 17 საჩივარი აქვს მიღებული, რომლებიც მის მიერ იქნა განხილული და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებული.

XII. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

ამჟამად სადამკვირვებლო ორგანიზაციების აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს. 4 სექტემბრის მონაცემებით 33 ადგილობრივი და 19 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია იქნა აკრედიტირებული. რამოდენიმე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია მათ შორის საერთაშორისო საზოგადოება სამართლიანი არჩევნებისთვის და დემოკრატიისთვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭირვალეობა საქართველო გრძელვადიან მონიტორინგს ახორციელებენ. აღნიშნული მონიტორინგი საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტზე ხორციელდება. საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი და საერთაშორისო რესპუბლიკული ინსტიტუტი ასევე ახორციელებენ გრძელვადიან სამონიტორინგო პროექტებს და დახმარებას უწევენ ადგილობრივ ორგანიზაციებს. საზოგადოებრივი მოძრაობა

---

25 ტელევიზიები: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (პირველი და მეორე არხები), რუსთავი 2, იმედი, კავკასია, მაესტრო და აჭარის ტელევიზია; გაზეთები: რეზონანსი და 24 საათი.

26 საარჩევნო კომისიის ყველა გადაწყვეტილება შეიძლება იქნას გასაჩივრებული უფრო მაღალი დონის საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში.

მრავალეროვანი საქართველოსთვის დამკვირვებლებს ეროვნული უმცირესობების და ადგილობრივი არასამთავობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შეარჩევს, რომლებიც არჩევნების დღეს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში იქნებიან განთავსებული.

XIII. მისიის საქმიანობა

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მისია სამუშაოს 22 აგვისტოს შეუდგა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მისიის ხელმძღვანელი ცესკოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და უწყებათშორისი კომისიის წარმომადგენლებს და სხვა მაღალი რანგის ოფიციალურ პირებს შეხვდა. არჩევნებზე დაკვრივების მისიამ ასევე დაამყარა კონტაქტები პოლიტიკურ პარტიებთან და ბლოკებთან, მედიის წარმომადგენლებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მისიის ხელმძღვანელი შეხვდა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ წინასაარჩევნოდ საქართველოში გამოგზავნილი დელეგაციის წევრებს, დელეგაციის თავმჯდომარე საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი ტონინო პიკულა იყო. იგი ეუთოს თავმჯდომარის მიერ სპეციალურ კოორდინატორად იქნა დანიშნული, რომელიც ეუთოს მოკლევადიან სადამკვირვებლო მისიას უხელმძღვანელებს. ეუთოს წევრ ქვეყნებს ასევე ეთხოვათ 350 მოკლევადიანი დამკვირვებლების გამოგზავნა, რომლებიც არჩევნების დღეს დააკვირდებიან. არჩევნების დღეზე დაკვირვება ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპარლამენტის და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ერთობლივი ძალისხმევის შედეგი იქნება.